



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 06 / 2017

თბილისი

04 თებერვალი 2017 წ.

სხდომა დაწყების დრო: 15.00

სხდომის დასრულების დრო: 16.00

პროფესორები: პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი, პროფ. ხათუნა ქორიძე, პროფ. თამარ მოსიძე, ასოც. პროფ. ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი; ასოც. პროფ. ხათუნა კალაძე; ასისტ. პროფ. თამარ ებანოიძე; ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძე, ასოც პროფ. ირინა კალანდაძე, ასოც. პროფ. ნინო ჟვანია, ასოც. პროფ. თამარ ვახტანგაძე, ასოც. პროფ. სერგო ციციხაია, ასისტენტ-პროფ. მედეა დარასელია; ასოც პროფ. მარინე შავლაყაძე; ასოც პროფ. იმედა რუბაშვილი; ასოც პროფ. ლაშა კალმახელიძე.

სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი, ზ. ენგოიანი, მ. გაბუნია, ლ. ხმელიძე

ქვორუმი: 16

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლ. ოზგაიძე

დღის წესრიგი:

1. დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების (ქართულენოვანი / რუსულენოვანი) მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე);
2. თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე);

მოისმინეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, რომ თქუ რექტორის 2017 წლის 18 იანვრის N10/01 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშებისა და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების წესებში“, კერძოდ:

ა) პირველი მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობა ნაცვლად 21 სემესტრისა გახდა 20 სასწავლო კვირა, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/ გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს;

ბ) მესამე მუხლის მე-4 ბ-ქვეპუნქტის თანახმად, ნაცვლად ორი შუალედური გამოცდის ჩატარება 1 შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 30% (30 ქულა).

აქედან გამომდინარე, 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს ფაკულტეტზე მოქმედი დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებსა (ქართულენოვანი/ რუსულენოვანი) და სილაბუსებში. მომხსენებელმა (აღნიშნული პროგრამების ხელმძღვანელმა) ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს ოპერატიული მუშაობისათვის (ყველა სილაბუსის მოდიფიცირებისათვის) გადაუხადა მადლობა და ამ ცვლილებების გათვალისწინებით წარმოადგინა მოდიფიცირებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (ქართულენოვანი/ რუსულენოვანი) დანართი 1-ისა, და დანართი 2-ის სახით.

მეორე საკითხთან დაკავშირებით თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, რომ 2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის კურსდამთავრებულმა დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 300 ECTS კრედიტი სრულად შეასრულა. დეკანმა აღნიშნა, რომ პროგრამის კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რათა ამ კურსდამთავრებულს მიენიჭოს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი.

ა) ვაჟა ხუროშვილი (01411115072)

აზრი გამოთქვა: პროფ. ხათუნა ქორიძემ, პროფ. თამარ მოსიძემ

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს თქუ აკადემიურ საბჭოს მოდიფიცირებული დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები (ქართულენოვანი/რუსულენოვანი) დანართი 1-ისა და დანართი 2-ის სახით;
2. მიენიჭოს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (რუსულენოვანი) პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულს;

ა) ვაჟა ხუროშვილი (01411115072)

3. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
4. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

თავმჯდომარე:

მდივანი:



ი.საყვარელიძე

ლ.ობგაიძე